

INNOX

We Do Finance

INNOX

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	9
1 ზოგადი ინფორმაცია.....	10
2 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	11
3 ძირითადი საშუალებები	22
4 გაცემული სესხები	23
5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
6 ფული და ფულის ეკვივალენტები	23
7 მიღებული სესხები	23
8 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	24
9 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	24
10 ფინანსური შემოსავალი	24
11 ფინანსური ხარჯი.....	24
12 ინვესტიციები მეკავშირე საწარმოები.....	25
13 სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	25
14 გაცემული ავანსები.....	25
15 საგადასახადო აქტივები	25
16 სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	25
17 ფინანსური რისკების მართვა	25
18 დაკავშირებული მხარეები	28
19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოველენები	28

მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“-ს ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“-ს (შემდგომში „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“-ს ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“-ს (შემდგომში „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა ევალება, შეაფასოს და საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა ევალება, შეაფასოს და საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნაზე ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენს აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

6 ნოემბერი 2025

შპს „ინოქსი“ ს/კ 404539674

SARAS-F-481994

ირაკლი ჭილაძე



გარიგების პარტნიორი - SARAS-A-509177

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნიტ, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნიტ, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნაზე ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლიტ ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენს აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებტ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვეტ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოტ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

6 ნოემბერი 2025

შპს „ინოქსი“ ს/კ 404539674

SARAS-F-481994

ირაკლი ჭილაძე _____

გარიგების პარტნიორი - SARAS-A-509177

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	8,019,639	10,739,008
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	12	142,095,350	142,035,350
არამატერიალური აქტივები		972	1,048
გუდვილი		2,245,698	2,572,902
სულ გრძელვადიანი აქტივები		152,361,659	155,348,308
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13	203,709	2,604,155
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	12,308,323	27,969,239
გაცემული მოკლევადიანი სესხები	4	19,974,285	25,223,783
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	14	7,936,783	6,570,407
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	210,067	712,782
საგადასახადო აქტივები	15	104,201	645,380
სულ მოკლევადიანი აქტივები		40,737,368	63,725,746
სულ აქტივები		193,099,027	219,074,054
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		22,855,122	38,095,928
სულ კაპიტალი		22,855,122	38,095,928
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	124,947,433	111,429,565
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		124,947,433	111,429,565
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		10,044,397	24,363,061
მოკლევადიანი სესხები	7	35,252,075	45,185,500
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		45,296,472	69,548,561
მთლიანი ვალდებულებები		170,243,905	180,978,126
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		193,099,027	219,074,054

თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 6-28 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 6 ნოემბერს.



დირექტორი

ევგენი ჯიხვაძე

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	8,019,639	10,739,008
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	12	142,095,350	142,035,350
არამატერიალური აქტივები		972	1,048
გუდივილი		2,245,698	2,572,902
სულ გრძელვადიანი აქტივები		152,361,659	155,348,308
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13	203,709	2,604,155
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	12,308,323	27,969,239
გაცემული მოკლევადიანი სესხები	4	19,974,285	25,223,783
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	14	7,936,783	6,570,407
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	210,067	712,782
საგადასახადო აქტივები	15	104,201	645,380
სულ მოკლევადიანი აქტივები		40,737,368	63,725,746
სულ აქტივები		193,099,027	219,074,054
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		22,855,122	38,095,928
სულ კაპიტალი		22,855,122	38,095,928
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	124,947,433	111,429,565
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		124,947,433	111,429,565
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		10,044,397	24,363,061
მოკლევადიანი სესხები	7	35,252,075	45,185,500
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		45,296,472	69,548,561
მთლიანი ვალდებულებები		170,243,905	180,978,126
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		193,099,027	219,074,054

თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 6-28 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 6 ნოემბერს.

დირექტორი

ევგენი ჯიხვაძე

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი		51,764,078	50,171,978
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8	(48,541,786)	(44,712,883)
საერთო მოგება		3,222,292	5,459,095
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(5,601,494)	(7,983,075)
ცვლილება გაუფასურების ანარიცხში		(661,571)	(1,127,626)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	16	1,653,251	(4,260,041)
საოპერაციო მოგება		(1,387,522)	(7,911,647)
ფინანსური შემოსავალი	10	5,346,008	18,308,463
ფინანსური ხარჯი	11	(19,152,926)	(22,533,961)
წმინდა ფინანსური მოგება/მოგება დაბეგვრამდე		(15,194,440)	(12,137,145)
მოგების გადასახადი		(46,366)	(6,966)
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(15,240,806)	(12,144,111)
მისაკუთვნიებელი კომპანიის მფლობელებზე		(15,167,702)	(13,248,523)
მისაკუთვნიებელი არამარკონტროლებელ წილზე		(73,104)	1,104,412

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2024	2023
წლის მოგება	(15,240,806)	(12,144,111)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,962,734	186,969
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	(5,346,008)	(18,308,463)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	19,152,926	22,533,961
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო კურსიდან	6,134,357	(2,067,217)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	6,663,203	(9,798,861)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	15,660,916	3,312,241
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(14,318,663)	(3,305,933)
ცვლილება გადახდილი ავანსებში	(1,366,376)	5,394,628
ცვლილება მარაგებში	2,400,446	(1,819,621)
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	285,912	(253,328)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	9,325,437	(6,470,874)
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალების შეძენა	(3,509,194)	(5,498,123)
ძირითადი საშუალების გაყიდვა	(4,704,278)	1,238,908
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	(60,000)	5,927,743
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული	(8,273,472)	1,668,528
ფინანსური საქმიანობა		
გაცემული სესხი	(1,633,829)	(3,849,596)
მიღებული სესხი	362,700	11,991,239
სესხის დაფარვა	(6,224,685)	(3,115,842)
გადახდილი დივიდენდები	5,941,134	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული	(1,554,680)	5,025,801
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)	(502,715)	223,455
წლის დასაწყისში	712,782	451,797
უცხოური ვალუტის ცვლილება ფული და ფულის ეკვივალენტებში	-	37,530
წლის ბოლოს	210,067	712,782

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	მისაკუთვნიებული კომპანიის მფლობელებზე	მისაკუთვნიებული არამარკონტროლებელ წილზე	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	43,020,401	43,368,119	(198,454)	43,020,401
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	8,773,427	8,604,558	168,870	8,773,427
გადახდილი დივიდენდები	(1,553,789)	(1,553,789)	-	(1,553,789)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	50,240,039	50,418,888	(29,584)	50,240,039
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	(12,144,111)	(13,248,523)	1,104,412	(12,144,111)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	38,095,928	37,170,365	1,074,828	38,095,928
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	(15,240,806)	(15,167,702)	(73,104)	(15,240,806)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	22,855,122	22,002,663	1,001,724	22,855,122

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, შპს „მანგანუმ ლოჯისტიკისთვის“ (შემდეგში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (შემდეგში „ჯგუფი“).

შპს "მანგანუმ ლოჯისტიკი" საიდენტიფიკაციო ნომრით 416334149 წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2017 წლის 1 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ჭიათურა, ქუჩა 26 მაისი.

მშობელი საწარმოს 100%-ის წილის მფლობელია ნოდარი მიქაბერიძე.

2024 წელს ჯგუფში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 424.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მანგანუმის მადნის კონცენტრატის მოპოვებას, გამდიდრებას და ქვეკონტრაქტორების მეშვეობით ტრანსპორტირებას ქ. ჭიათურიდან ქ. ზესტაფონამდე მისი მთავარი კონტრაქტორის, შპს ჯორჯიან მანგანუმისათვის. ჯგუფი წინასწარ ახდენს იმ უზნების ინსპექტირებას, განფენილობის, სამუშაო სივრცის თუ მოსაზღვრე სტრუქტურების სიახლოვეს ნიადაგის სტრუქტურის შესწავლას, რომელიც დამტკიცებულია ჯორჯიან მანგანუმის მიერ.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა მანგანუმის მადნის კონცენტრატის მოპოვება/დამუშავება-ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

კომპანია ფლობს წილს შემდეგ კომპანიებში:

შვილობილი კომპანია	შეძენა/დაფუძნება	ს/ნ	საქმიანობა
შპს პარტნიორი	100% წილის შეძენა - 31/10/2019 წელი	406084954	მანგანუმის მადნის მოპოვება, გამდიდრება, გადაზიდვა
შპს ჭიათურა სერვისი	100% დაფუძნებული - 10/06/2019 წელი	416347741	დასუფთავების სერვისი
შპს ტრანსპორტი 2015	100% წილის შეძენა - 18/12/2020 წელი	415594556	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, გადამუშავება
შპს მეტალი	55% წილის შეძენა - 10/02/2020 წელი	405370897	მანგანუმის მადნის მოპოვება, გამდიდრება, გადაზიდვა
შპს სამთოელი	100% დაფუძნებული - 18/03/2020 წელი	416351806	მანგანუმის მადნის მოპოვება, გამდიდრება, გადაზიდვა
შპს ჯრუჭულა 2020	50% დაფუძნებული - 6/6/2020 წელი	416352253	მანგანუმის მადნის მოპოვება, გამდიდრება, გადაზიდვა
შპს ბლექ სი სოლუმენი	50% წილის შეძენა - 02/04/2021 წელი	405231164	მანგანუმის მადნის მოპოვება, გამდიდრება, გადაზიდვა
შპს ემენრიხი	80% დაფუძნებული - 26/2/2021 წელი	415601236	მანგანუმის მადნის მოპოვება, გამდიდრება, გადაზიდვა
შპს ბარჯა 2015	90% წილის შეძენა - 9/07/2021 წელი	415593058	მანგანუმის მადნის გადაზიდვა
შპს მ.ფ. ფექტორი	100% წილის შეძენა - 9/07/2021 წელი	405165627	მანგანუმის მადნის გადაზიდვა
შპს ჯეო მაინინგი	50% წილის შეძენა - 8/04/2022 წელი	404472487	მანგანუმის მადნის მოპოვება, გამდიდრება
შპს ემ ენ სილვერი	50% დაფუძნებულია - 14/03/2022 წელი	415602510	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება
შპს არაგვი	55% წილის შეძენა - 14/04/2020 წელი	215599421	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

შპს მ.გ.ტ	50% წილის შეძენა - 20/12/2022 წელი	215607010	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, გადამუშავება
-----------	------------------------------------	-----------	---

ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფი საქმიანობას ეწევა საქართველოში. საქართველოში საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები და სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების გაძლიერებისთვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე.

ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება განვითარებულ ქვეყნებში.

2 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“-ები) და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-2 შენიშვნაში.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ცვლადი უკუგება ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან;

10 -28 გვერდებზე თანდართული შენიშვნები ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების გასამყარებლად, თუ ჯგუფს აქვს ხმის უფლების მქონე უმრავლესობაზე ნაკლები ან საინვესტიციო ობიექტის მსგავსი უფლებები, ჯგუფი ყველა შესაბამის ფაქტსა და გარემოებას ითვალისწინებს იმის შეფასებისათვის, აქვს თუ არა მას უფლება საინვესტიციო ობიექტზე, მათ შორის:

- საკონტრაქტო შეთანხმება საინვესტიციო ობიექტის ხმის უფლების სხვა მფლობელებთან;
- სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან წარმოქმნილი უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა საინვესტიციო ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ არსებობს კონტროლის სამი ელემენტიდან ერთის ან მეტის ცვლილება.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის შიგნით ყველა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადები, რომელიც უკავშირდება ჯგუფის წევრებს შორის ტრანსაქციებს სრულად უქმდება კონსოლიდაციის დროს.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე, აღრიცხება როგორც კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაცია. თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არასაკონტროლო წილის და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება რეალური ღირებულებით.

საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. შესყიდვის ღირებულება ფასდება როგორც შეძენის დღისათვის რეალური ღირებულებით შეფასებული მთლიანი გადაცემული ანაზღაურებისა და შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არასაკონტროლო წილის მოცულობის ჯამი. საწარმოთა გაერთიანების თითოეულ შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს შეძენილი კომპანიის არასაკონტროლო წილს რეალური ღირებულებით ან შეძენილი კომპანიის ნეტო აქტივების პროპორციული წილის მიხედვით.

როდესაც ჯგუფი შეისყიდის ბიზნესს, კლასიფიკაციის მიზნებისთვის აფასებს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შესყიდვის თარიღისათვის არსებული სახელშეკრულებო პირობების, ეკონომიკური გარემოებებისა და რელევანტური პირობების შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს შესყიდული საწარმოს მიერ ხელშეკრულებებში ჩადებული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევებას. ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას შემძენის მიერ, აღიარებულია რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის. პირობითი ანაზღაურება, რომელიც კლასიფიცირდება კაპიტალად, არ გადაფასდება და მისი შემდგომი გადახდა აღირიცხება კაპიტალში. პირობითი ანაზღაურება, რომელიც მოიაზრება აქტივად ან ვალდებულებად, წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და შეესაბამება ფასს 9-ს „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფასდება რეალური ღირებულებით და ფასს 9-ის შესაბამისად რეალური ღირებულების ცვლილება აისახება მოგებაში ან ზარალში. სხვა პირობითი ანაზღაურება, რომელიც არ ექცევა ფასს 9-ის მოქმედების არეალში, ფასდება რეალური ღირებულებით თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის მოგებაში ან ზარალში აღიარებული რეალური ღირებულების ცვლილებით.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული საწარმოს სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც თითოეული მათგანი საქმიანობს. კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოების სამუშაო ვალუტა და ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან“.

2024 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

აშშ დოლარი ევრო

გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7	3.0
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8	2.9

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე ეროვნულ/უცხოურ ვალუტაში და ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში.

ფინანსური აქტივები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისა და სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც ჯგუფი ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია ჯგუფისთვის. ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზარდია საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც ჯგუფმა შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეიტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის მაჩვენებლები არის შემდეგი:

	წელი
შენობები	20
ნაგებობები	10
მანქანა-დანადგარები	7-10
კომპიუტერული ტექნიკა	4-5
ელექტრონული მოწყობილობები	4
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-6
სატრანსპორტო საშუალებები	5-8

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

ინვესტიციები

განხორციელებულ ინვესტიციას კომპანია აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც გადახდილი ან გადასახდელი ანაზღაურებაა, ვიდრე ინვესტიცია არ იქნება ჩამოწერილი ან გაუფასურებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. შვილობილი კომპანიიდან და მეკავშირე საწარმოდან მიღებულ დივიდენდს კომპანია აღიარებს სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, როდესაც დივიდენდი გამოცხადდება. კომპანია განსაზღვრავს შვილობილ კომპანიაში ინვესტიცია არის გასაუფასურებელი თუ არა გაუფასურების ინდიკატორებიდან გამომდინარე. ეს მოითხოვს შვილობილ კომპანიაში ინვესტიციების გამოყენებითი ღირებულების გაანგარიშების შეფასებას. გამოყენებითი ღირებულების გაანგარიშებზე ბის შეფასებისთვის საჭიროა ხელმძღვანელობისგან მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობის განსაზღვრა და ასევე, შესაბამისი დისკონტირების განაკვეთისა და ზრდის განაკვეთის განსაზღვრა, რათა გამოითვალოს ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. საჭიროების შემთხვევაში, ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულების გაუფასურება მოწმდება ბასს (IAS) 36-ის აქტივების გაუფასურება შესაბამისად, როგორც ერთეული აქტივისა, მისი ანაზღაურებადი ღირებულების (გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის უმაღლესი, რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) შედარებით მის საბალანსო ღირებულებასთან. ნებისმიერი აღიარებული გაუფასურების ზარალი წარმოადგენს ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილს. ამ გაუფასურების ზარალის ნებისმიერი ამობრუნება აღიარდება ბასს (IAS) 36-ის შესაბამისად, იმდენად, რამდენადაც ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება შემდგომში იზრდება.

გუდვილის გაუფასურება

გუდვილი არ ამორტიზდება, თუმცა განიხილება გაუფასურებაზე ყოველწლიურად. გაუფასურების მიზნებისთვის,

გუდვილი ნაწილდება თითოეული ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ერთეულზე (ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ერთეულების ჯგუფზე), რომელიც მოსალოდნელია რომ მიიღებს სარგებელს გაერთიანების სინერგიიდან. ის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც მიკუთვნებულია გუდვილი, მოწმდება გაუფასურებაზე ყოველწლიურად, ან უფრო ხშირად თუ არსებობს რაიმე ინდიკატორი, რომელიც მის გაუფასურებაზე მიუთითებს. როდესაც ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, გაუფასურების ზარალით პირველ რიგში მცირდება გუდვილის საბალანსო ღირებულება, რომელიც გადანაწილებულია ამ ერთეულზე და შემდგომ კი ერთეულის სხვა აქტივები პროპორციულად. გუდვილთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის ამობრუნება არ არის შესაძლებელი მომავალ პერიოდებში. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შეწყვეტისას, აღნიშნულ ოპერაციებთან დაკავშირებული გუდვილი გაითვალისწინება მის შეწყვეტასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის განსაზღვრისას.

იჯარა

განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი მეშვეობით ხდება

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

იდენტიფიცირებადი აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აღიარებს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას.

აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- ბ) საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- გ) მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს.

ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად მანქანა-დანადგარებს 10 წელზე ხოლო სატრანსპორტო საშუალებას 5 წელზე.

საიჯარო ვალდებულება

ჯგუფი იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთი. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებულ ფიქსირებულ გადახდებს) მიღებული საიჯარო წამახალისებელი გადახდების გამოკლებით; ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ ჯგუფი გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ჯგუფი გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას ზრდის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და ამცირებს განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ამასთანავე, ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, თუ ადგილი აქვს საიჯარო ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის მიწიქებით, ჯგუფი არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება. კომპანიის არამატერიალური აქტივი არის ორისის საბუღალტრო პროგრამა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილ მეთოდს და მოიცავს შემენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება ჯგუფში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი; ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის სხვა ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემოსავალი აღიარდება დროის კონკრეტულ მომენტში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა ("IASB") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს ("IFRIC") მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2024 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ მიუღია სხვა არცერთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან შესწორება, რომლებიც გამოცემულია მაგრამ არ არის ეფექტური რეპორტინგ პერიოდისთვის.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილებები ფასს 16 იჯარაში – საიჯარო ვალდებულებები უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში - შესწორებებს არანაირი გავლენა არ ქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ბასს 21 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგებში - ურთიერთგაცვლის შეზღუდული არსებობა;
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები;

ფასს 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა	ელექტრონული მოწყობილობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31-12-22	1,192,227	522,793	20,314	755,505	35,027	28,730	1,034,761	3,265,636	6,854,993
შემენა	2,764,481	561,688	-	305,000	2,795	-	-	3,656,427	7,290,391
გასვლა	(200,000)	-	-	(274,400)	-	-	-	(764,508)	(1,238,908)
31-12-23	3,756,708	1,084,481	20,314	786,105	37,822	28,730	1,034,761	6,157,555	12,906,476
შემენა	1,215,192	307,379	344,215	992,410	2,126	1,436	10,744	635,692	3,509,194
გასვლა	(199,288)	(541,688)	(15,709)	(324,947)	-	-	-	(3,622,646)	(4,704,278)
31-12-24	4,772,612	850,172	348,820	1,453,568	39,948	30,166	1,045,505	3,170,601	11,711,392
31/12/22	-	(64,021)	(14,635)	(202,740)	(33,210)	(19,014)	(621,202)	(967,277)	(1,922,099)
ცვეთის ხარჯი	-	(87,675)	(7,062)	(15,643)	(16,438)	(15,547)	(9,298)	(35,306)	(186,969)
გასული ცვეთა	-	-	-	(137,200)	-	-	-	78,800	(58,400)
31/12/23	-	(151,696)	(21,697)	(355,583)	(49,648)	(34,561)	(630,500)	(923,783)	(2,167,468)
ცვეთის ხარჯი	-	(53,973)	(23,549)	(576,860)	(3,329)	(15,547)	(10,334)	(1,279,142)	(1,962,734)
გასული ცვეთა	-	10,752	-	320,965	-	-	-	106,732	438,449
31-12-24	-	(194,917)	(45,246)	(611,478)	(52,977)	(50,108)	(640,834)	(2,096,193)	(3,691,753)
საბალანსო ღირებულება 31/12/23	3,756,708	932,785	(1,383)	430,522	(11,826)	(5,831)	404,261	5,233,772	10,739,008
საბალანსო ღირებულება 31/12/24	4,772,612	655,255	303,574	842,090	(13,029)	(19,942)	404,671	1,074,408	8,019,639

*ჯგუფის მფლობელობაში არსებული მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს საფინანსო ინსტიტუტებისაგან აღებული ვალდებულებების დაფარვის შესასრულებლად.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4 გაცემული სესხები

	31-12-24	31-12-23
სესხის ძირი	16,947,996	21,402,146
სესხის პროცენტი	3,026,289	3,821,637
სულ მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნა	19,974,285	25,223,783

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს გაცემული აქვს სესხები იურიდიულ პირებზე როგორც ლარში, ასევე დოლარში. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს საშუალოდ 8-10%(დოლარში), 12-14%(ლარში).

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-12-24	31-12-23
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	17,884,623	32,648,016
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(6,020,789)	(5,359,218)
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	444,489	680,441
სულ	12,308,323	27,969,239

მოთხოვნების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31-12-22	(4,231,593)
დარიცხვა	(1,127,625)
31-12-23	(5,359,218)
დარიცხვა	(661,571)
31-12-24	(6,020,789)

6 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-12-24	31-12-23
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	210,067	712,488
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	294
სულ	210,067	712,782

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

7 მიღებული სესხები

მოკლევადიანი		
	31-12-24	31-12-23
სესხის ძირი	7,664,522	9,824,251
სესხის პროცენტი	27,587,553	35,361,249
სულ მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნა	35,252,075	45,185,500

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

გრძელვადიანი	31-12-24	31-12-23
სესხის ძირი	124,947,433	111,429,565
სულ გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნა	124,947,433	111,429,565

ჯგუფს 2024 წლის განმავლობაში მიღებული აქვს იურიდიული პირისგან და საბანკო დაწესებულებებისგან. ლარის სესხების საპროცენტო განაკვეთია 12-14%, დოლარის სესხების 8-10%. სესხის ძირის და პროცენტის დაფარვა გათვალისწინებულია სესხის ვადის გასვლისთანავე.

8 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
ძირითადი მასალების დანახარჯები/შემენა	47,121,245	43,404,392
საწვავის ხარჯი	55,820	51,417
იჯარის ხარჯი	324,088	298,524
შრომის ანაზრაულება	636,438	586,237
სხვა საოპერაციო ხარჯები	404,195	372,313
სულ	48,541,786	44,712,883

9 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზრაულება	3,400,506	4,846,295
საიჯარო ქირა	486,589	693,471
საკონსულტაციო ხარჯები	263,105	374,969
რეკლამის ხარჯები	158,495	225,882
საგადასახადო ხარჯი	125,723	179,177
ცვეთა და ამორტიზაცია	113,869	162,283
კომუნიკაციის ხარჯები	209,909	299,156
რემონტის და მოვლა-შენახვის ხარჯები	448,658	639,414
სხვა ხარჯი	394,640	562,428
სულ	5,601,494	7,983,075

10 ფინანსური შემოსავალი

	2024	2023
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგი	3,191,990	16,108,787
საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან	2,154,018	2,199,676
სულ	5,346,008	18,308,463

11 ფინანსური ხარჯი

	2024	2023
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალი	9,326,347	12,852,299
სესხების საპროცენტო ხარჯები	9,826,579	9,681,662
სულ	19,152,926	22,533,961

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12 ინვესტიციები მეკავშირე საწარმოები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არსებული ინვესტიციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის დასახელება	ინვესტიციის ღირებულება
შპს ბლექ სი სოლუმენ	140,879,508
შპს ემენრიჩი	331,741
შპს ჯეო მაინინგი	884,101
სულ	142,095,350

13 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31-12-24	31-12-23
ნედლეული და მასალები	192,881	2,465,729
საწვავი	10,828	138,426
სულ	203,709	2,604,155

14 გაცემული ავანსები

გაცემული ავანსები წარმოადგენს ადგილობრივ კომპანიებზე გადახდილ ფულად სახსრებს საქონლის და მომსახურების მიღებისთვის.

გაცემული ავანსები დენომინირებულია ქართულ ლარში.

15 საგადასახადო აქტივები

ჯგუფს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია წმინდა საგადასახადო აქტივი. რომელიც ძირითადად შედგება დღგ-ს ჩასათვლეელი თანხებისგან.

16 სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა

	2024	2023
ძირითადი საშუალების რეალიზ. მიღებული შემოსავალი	(19,795)	(51,008)
საქონლის ჩამოწერა	-	36,161
ინვესტიციების გაუფასურების ხარჯი	-	3,637,923
ძირითადი საშუალების გასვლა	208,122	46,291
სხვა	(1,841,578)	590,674
წმინდა	(1,653,251)	4,260,041

17 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	31-12-24	31-12-23
აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,308,323	27,969,239
გაცემული სესხები	19,974,285	25,223,783
ფული და ფულის ეკვივალენტები	210,067	712,782
სულ ფინანსური აქტივები	32,492,676	53,905,804
ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	124,947,433	111,429,565
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,044,397	24,363,061
მოკლევადიანი სესხები	35,252,075	45,185,500
სულ ფინანსური ვალდებულებები	170,243,905	180,978,126
წმინდა ბალანსი	(137,751,230)	(127,072,322)

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები. საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან. ჯგუფი განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას. სავალუტო რისკი - ქვემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. არაფულად აქტივებში ინვესტიციები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან სავალუტო რისკს. გარდა კომპანიის მოგება-ზარალზე არსებული გავლენისა, არ არსებობს სხვა ზეგავლენა კომპანიის კაპიტალზე გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად. ეს რისკი გაანგარიშებული იყო კომპანიის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით.

სავალუტო რისკი		
ვალუტა	31-12-24	31-12-23
აშშ დოლარი	1,666,726	2,083,407
სულ ფინანსური აქტივები	1,666,726	2,083,407
აშშ დოლარი	33,011,582	38,953,667
სულ ფინანსური ვალდებულებები	33,011,582	38,953,667
	(31,344,856)	(36,870,260)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობიარობა სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილებისას ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში:

31-12-23	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 20%-ით გამყარება	(19,924,689)
აშშ დოლარის 20%-ით გაუფასურება	19,924,689
31-12-24	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 20%-ით გამყარება	(12,136,611)
აშშ დოლარის 20%-ით გაუფასურება	12,136,611

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე.

10 -28 გვერდებზე თანდართული შენიშვნები ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ჯგუფს აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაფარად. ვადიანობის ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2022 და 2021 წლებისთვის მოცემულია ქვემოთ.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი:

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
ფული და ფულის ექვივალენტები	210,067	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,308,323	-	-
გაცემული მოკლევადიანი სესხები	19,974,285	-	-
აქტივები	32,492,676	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,044,397	-	-
მიღებული სესხები	45,185,500	124,947,433	-
ვალდებულებები	55,229,897	124,947,433	-
წმინდა ბალანსი	(22,737,222)	(124,947,433)	-

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი:

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	712,782	-	-	712,782
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	27,969,239	-	-	27,969,239
გაცემული მოკლევადიანი სესხები	45,185,500	-	-	45,185,500
აქტივები	73,867,521	-	-	73,867,521
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	24,363,061	-	-	24,363,061
მიღებული სესხები	45,185,500	111,429,565	-	156,615,065
ვალდებულებები	69,548,561	111,429,565	-	180,978,126
წმინდა ბალანსი	4,318,960	(111,429,565)	-	(107,110,605)

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

18 დაკავშირებული მხარეები

ხელმძღვანელი რგოლის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდგენიარად:

	2024	2023
ხელმძღვანელი რგოლის ხელფასები	1,013,141	1,178,458
სულ	1,013,141	1,178,458

გამოცხადებული დივიდენდი	2024	2023
მესაკუთრეები	-	1,553,789

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	148,708	1,109,068
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	140,214	330,287
გაცემული სესხები	285,853	2,715,227

	2024	2023
შემოსავალი	70,875	435,625

19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოველენები

2024 წლის 31 დეკემბრიდან ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე ჯგუფმა გასცა 1.9 მილიონი ლარის ოდენობის სესხი.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

შპს მანგანუმ ლოჯისტიკი(ს/კ 416334149)

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

31 დეკემბერი 2024

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სარჩევი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული მართვებლობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
2. კომპანიის განვითარების გეგმები
3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ
4. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
5. კომპანიის რისკების მიმოხილვა და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ
6. ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.
7. გარემოს დაცვა.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


(ქართულ ლარში)

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ 2025 წლის 6 ნოემბერს, გამოშვებული დასკვნის მე-4 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შპს მანგანუმ ლოჯისტიკის (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში ჯგუფის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება, მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 6 ნოემბერს.



დირექტორი:

ევგენი ჯიხვაძე

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ 2025 წლის 6 ნოემბერს. გამოშვებული დასკვნის მე-4 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შპს მანგანუმ ლოჯისტიკის (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში ჯგუფის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება, მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 6 ნოემბერს.

დირექტორი:

ევგენი ჯიხვაძე

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კომპანიის განვითარების გეგმები

შპს მანგანუმ ლოჯისტიკი (შემდგომში „კომპანია“) არის 2017- წლის 01, მაისს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი ჭიათურა, ქუჩა 26 მაისი.

კომპანიის 100% წილის მფლობელი არის ნოდარ მიქაბერიძე.

კომპანიის დირექტორია ევგენი ჯიხვაძე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს მანგანუმ ლოჯისტიკს ჰყავს შვილობილი კომპანიები:

შვილობილი კომპანია	შემენა/დაფუძნება	ს/ნ	საქმიანობა
შპს პარტნიორი	100% წილის შემენა - 31/10/2019 წელი	406084954	მანგანუმის მადნის მოპოვება, გამდიდრება, გადაზიდვა
შპს ჭიათურა სერვისი	100% დამფუძნებელი - 10/06/2019 წელი	416347741	დასუფთავების სერვისი
შპს ტრანსპორტი 2015	100% წილის შემენა - 18/12/2020 წელი	415594556	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, გადამუშავება
შპს მეტალი	55% წილის შემენა - 10/02/2020 წელი	405370897	მანგანუმის მადნის მოპოვება, გამდიდრება, გადაზიდვა
შპს სამთოელი	100% დაფუძნებული - 18/03/2020 წელი	416351806	მანგანუმის მადნის მოპოვება, გამდიდრება, გადაზიდვა
შპს ჯრუჭულა 2020	50% დაფუძნებული - 6/6/2020 წელი	416352253	მანგანუმის მადნის მოპოვება, გამდიდრება, გადაზიდვა
შპს ბლექ სი სოლუშენი	50% წილის შემენა - 02/04/2021 წელი	405231164	მანგანუმის მადნის მოპოვება, გამდიდრება, გადაზიდვა
შპს ემენრიჩი	80% დაფუძნებული - 26/2/2021 წელი	415601236	მანგანუმის მადნის მოპოვება, გამდიდრება, გადაზიდვა
შპს ბარჯა 2015	90% წილის შემენა - 9/07/2021 წელი	415593058	მანგანუმის მადნის მოპოვება, გამდიდრება, გადაზიდვა
შპს მ.ნ. ფექტორი	90% წილის შემენა - 9/07/2021 წელი	405165627	მანგანუმის მადნის მოპოვება, გამდიდრება, გადაზიდვა
შპს ჯეო მაინინგი	50% წილის შემენა - 8/04/2023 წელი	404472487	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, გამდიდრება, გადაზიდვა
შპს ემ ენ სილვერი	50% დაფუძნება - 14/03/2023 წელი	415602510	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება
შპს არაგვი	55% წილის შემენა - 14/04/2020 წელი	215599421	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება
შპს მ.გ.ტ	50% წილის შემენა - 20/12/2023 წელი	215607010	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, გადამუშავება

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მშობელი საწარმოს ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს მანგანუმის მადნის კონცენტრატის მოპოვება/დამუშავება- ტრანსპორტირება, უზრუნველყოფს მის მიწოდებას მისი მთავარი კონტრაქტორის შპს ჯორჯიან მანგანუმისათვის. შპს მანგანუმ ლოჯისტიკი წინასწარ ახდენს იმ უზნების ინსპექტირებას რომელიც დამტკიცებულია ჯორჯიან მანგანუმის მიერ, ახდენს ტერიტორიის განფენილობის შესწავლას, სამუშაო სივრცის თუ მოსაზღვრე სტრუქტურების სიახლოვეს ნიადაგის სტრუქტურის შესწავლას. შპს მანგანუმ ლოჯისტიკი ახდენს მანგანუმის მადნის მოპოვებას მის გამდიდრებას (გარეცხვას) და შემდეგ ტრანსპორტირებას ქ. ჭიათურიდან ქ. ზესტაფონამდე დაქირავებული ქვეკონტრაქტორების მეშვეობით. ჯგუფი მომავალშიც აპირებს გაფართოებას ვაჭრობისა და წარმოების სფეროში.

შვილობილი კომპანიების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შპს მანგანუმ ლოჯისტიკის საქმიანობის ანალოგიურ საქმიანობას, კერძოდ: მანგანუმის მადნის კონცენტრატის მოპოვება/დამუშავება, მის ტრანსპორტირებას მისი მთავარი კონტრაქტორის შპს მანგანუმ ლოჯისტიკისთვის. დამატებით შპს პარტნიორი თვითონ ახორციელებს ტრანსპორტირებას და ტექნიკით მომსახურებას.

ინფორმაციას ჯგუფის ფილიალების შესახებ

ჯგუფს არ გააჩნია ფილიალები და საწყობი რადგან შემოიფარგლება მომსახურებით და არ ახდენს ნედლეულის დასაწყობებას, რომელიც ქვეკონტრაქტორების პრეროგატივაა. ოპერირებს ქ. ჭიათურაში და მისი ფაქტობრივი მისამართია თბელიძის 29. ჯგუფი არ ახორციელებს იმპორტს.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფში დანერგილია ბონუსური სისტემა თანამშრომელთა წახალისების მიზნით, შესრულებული სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, კვარტალურად გაიცემა დამატებითი სარგებელი. ჯგუფში დასაქმებულთა უმრავლესობა მამაკაცია თუმცა აღსანიშნავია, რომ ქალთა რაოდენობა კომპანიის მენეჯმენტსა და საკვანძო თანამდებობებზე საკმაოდ მაღალია. ჯგუფში დასაქმებულები არ სარგებლობენ დაზღვევით.

კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, წესდება დაგეხმარებათ.

ჯგუფის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, ჯგუფზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდურობის ცხრილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-13 შენიშვნაში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები. საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს ჯგუფის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი ეხება მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. არაფულად აქტივებში ინვესტიციები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან სავალუტო რისკს. გარდა ჯგუფის მოგება-ზარალზე არსებული გავლენისა, არ არსებობს სხვა ზეგავლენა ჯგუფის კაპიტალზე გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად. რისკი გაანგარიშებულია ჯგუფის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით.

ანალიზი სავალუტო რისკების შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს ჯგუფის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით ჯგუფის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

ჯგუფის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ჯგუფის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ ჯგუფის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

საოპერაციო რისკი

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ჯგუფს გააჩნია საოპერაციო რისკები, რომელიც შესაძლოა განპირობებული იყოს როგორც შიდა ისე გარე ფაქტორებით. ეს შეიძლება გამოხატული იყოს საკანონმდებლო თუ სხვა სახის შეზღუდვებით.

6 ნოემბერი 2025

ევგენი ჯიხვაძე

დირექტორი



შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ჯგუფს გააჩნია საოპერაციო რისკები, რომელიც შესაძლოა განპირობებული იყოს როგორც შიდა ისე გარე ფაქტორებით. ეს შეიძლება გამოხატული იყოს საკანონმდებლო თუ სხვა სახის შეზღუდვებით.

6 ნოემბერი 2025

ევგენი ჯიხვაძე _____

დირექტორი



Info@inox.ge



34 I.Abashidze str.